

ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტი 041357

პროფესიული სტანდარტი

**I. სფეროს აღწერა:**

ქიმიური და კვების მრეწველობის საწარმოების უსაფრთხოება წარმოადგენს ქიმიური და კვების მრეწველობის სწარმოების და ტექნოლოგიური პროცესების მომსახურების მნიშვნელოვან ქვესისტემას, რომელიც ქიმიური და კვების მრეწველობის საწარმოების ნებისმიერ საწარმოში უზრუნველყოფს უსაფრთხო მუშაობას.

ქიმიური და კვების მრეწველობის სწარმოების წარმოებების უსაფრთხოება პიროვნებაზე ორიენტირებული პროფესიაა და მოიცავს:

- ქიმიური და კვების მრეწველობის საწარმოებში ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხოებას;
- ქიმიური და კვების მრეწველობის საწარმოებში ჰიგიენური და სანიტარიული ნორმების უზრუნველყოფას;
- შრომის კანონდებლობას;
- ელექტროუსაფრთხოებას და რადიოაქტიურ უსაფრთხოებას;
- ხანძარ- და ფეთქებადუსაფრთხოებას

**II. დასაქმების სფერო**

მოცემული სტანდარტის მიხედვით ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტი არის ტექნიკური პერსონალი, რომელიც მუშაობს ქიმიური და კვების მრეწველობის საწარმოების ნებისმიერ საწარმოში (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში)

**III. დამატებითი მოთხოვნები**

პრაქტიკის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

**IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია**

ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული განათლება არის სამსაფეხურიანი და თითოეულ საფეხურისათვის დამუშავებულია შესაბამისი პროფესიული განათლების პროგრამა. ყოველი საფეხურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 20 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო/საწარმოო პრაქტიკას. ენიჭება ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

**V. ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტის კვალიფიკაციათა ჩამონათვალი**

**ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი**

<b>ცოდნა და გაცნობიერება</b>	აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებულ ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.	იცის ქიმიური და კვების მრეწველობის ტექნოლოგიური პროცესების, კვების მრეწველობის საწარმოებისათვის დამახასიათებელი მავნე და საშიში საწარმოო ფაქტორების, საწარმოო სანიტარიის და ჰიგიენის, ქიმიური და კვების მრეწველობის საწარმოებისათვის დამახასიათებელი პროფესიული დაავადებების და ტრავმების, უსაფრთხოების ტექნიკის ზოგადი ცნებები დებულებები. აცნობიერებს პროფესიულ საქმიანობიდან წარმოქმნილი საფრთხეების აღმოსაფხვრელად გადასადგმელ ნაბიჯებს.
<b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b>	შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.	შეუძლია სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენოს ქიმიური და კვების მრეწველობის საწარმოო პროცესების უსაფრთხოების ნორმები, წესები, ინსტრუქციები, შეუძლია პროცესების საფრთხეების გამოვლენა და ცალკეული პარამეტრების კონტროლი.
<b>დასკვნის უნარი</b>	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი..	შეუძლია წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად მეტი ინფორმაციით სარგებლობა, შრომის, ელექტრო, რადიაციული უსაფრთხოების წესების ადეკვატური აღქმა, მათი შეფასება და გაზომვა.

<b>კომუნიკაციის უნარი</b>	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში, ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება.	ქიმიური და კვების მრეწველობის წარმოების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შეუძლია სწრაფი და აუცილებელი კომუნიკაცია, იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით თანამედროვე და უახლეს ტექნოლოგიებს, შეუძლია ერთ-ერთი უცხოური ენის პრაქტიკაში გამოყენება.
<b>სწავლის უნარი</b>	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.	შეუძლია მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით პროფესიული ინფორმაციის მოძიება. თვითგანვითარებაზე პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება.
<b>ღირებულებები</b>	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.	საამქროში ავარიულ სიტუაციებში უსაფრთხოების სპეციალისტს შესწევს უნარი იმოქმედოს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. იცავს ეთიკისა და მორალის წესებს. აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა საწარმოში მიმდინარე პროცესების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. გაცნობიერებული აქვს ისეთი პროფესიული ღირებულებები, როგორცაა საამქროს ყველა სამუშაო უბანზე ტექნოლოგიური პროცესების უსაფრთხოება, გარემოს უსაფრთხოება, ადამიანის პროფესიული დაავადებებისა და ტრავმებისაგან დაცვა, ოპტიმალური საწარმოო პირობების უზრუნველყოფის აუცილებლობა. იგი პასუხისმგებელია საამქროს ყველა უბანზე მომუშავე მუშაკებისათვის ჯანსაღი, უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნაზე. იგი მუდმივ კავშირშია სამუშაო უბნებზე უსაფრთხოების შეგირდებთან და ასისტენტებთან.

**ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი**

<b>ცოდნა და გაცნობიერება</b>	აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს.	სპეციალისტს აქვს ქიმიური და კვების მრეწველობის საწარმოო პროცესების მიმდინარეობაზე, წარმოებასთან დაკავშირებული მავნე და საშიში საწარმოო ფაქტორების ადამიანზე ზემოქმედების თეორიული ცოდნა, სახავს რიგ ღონისძიებებს ამ ფაქტორების შესამცირებლად. იცის სავენტილაციო სისტემის ეფექტურობის გამოკვლევა აღნიშნული საწარმოს პირობებიდან გამომდინარე, ჰაერ-ცვლის ჯერადობის გამოთვლა, სავენტილაციო სისტემის მოწესრიგება. ელექტროდანადგარებში დამცავი ჩამიწების, დანულების, იზოლაციის, ამორთვის კონტროლი. იცის აღმოჩენილი უწყესიგრობის აღმოფხვრის ორგანიზება, ხოლო ექსტრემალურ სიტუაციაში იცის როგორ აღმოუჩინოს დაზარალებულს პირველადი სამედიცინო დახმარება, მომუშავეთა უსაფრთხო ევაკუაცია. იცნობს შრომის კანონმდებლობას.
------------------------------	---	---

<b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b>	შეუძლია, სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები, შეიმუშაოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის დასაძლევად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.	შეუძლია პროფესიულ უსაფრთხოებაში მიღებული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკულ საქმიანობაში, შეიმუშაოს რიგი ღონისძიებები ნეგატიური ფაქტორების შესამცირებლად, დაგეგმოს გასატარებელი უსაფრთხოების ღონისძიებები.
<b>დასკვნის უნარი</b>	შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება, ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და მიღებული შედეგის ანალიზი.	შეუძლია ნებისმიერი სპეციფიკური პრობლემების: სავენტილაციო სისტემის დაზიანება, ხმაურის, ვიბრაციის, არარაციონალური განათების, ელექტროდანადგარების უწყესიერობის, წნევისქვეშ მომუშავე დანადგარების ჰერმეტიულობის დარღვევის ამოცნობა და შესაბამისი დასკვნის გამოტანა.
<b>კომუნიკაციის უნარი</b>	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში, ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად ათვისება, უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.	შესწევს წერილობითი კომუნიკაციის უნარი ერთ-ერთ უცხოურ ენაზე, საწარმოო პროცესების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. შეუძლია ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ათვისება, ინფორმაციის დამუშავება.
<b>სწავლის უნარი</b>	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად, ვითარებაში.	შეუძლია თავისი შეხედულებების მიხედვით გაიდრმავოს ცოდნა და განსაზღვროს, ქიმიური და კვების მრეწველობის საწარმოო უსაფრთხოების რომელ კონკრეტულ მიმართულებაში აპირებს სწავლის გაგრძელებას. მოიპოვოს სიახლეები პროფესიულ სფეროში, აიმაღლოს პროფესიული კვალიფიკაცია.
<b>ღირებულებები</b>	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	იღებს პასუხისმგებლობას საწარმოო პროცესების უსაფრთხოებაზე და შეუძლია იმოქმედოს ცვალებადი სიტუაციების გათვალისწინებით. აქვს ტექნოლოგიური პროცესის უსაფრთხოდ მართვის უნარი. ხასიათდება დიდი პასუხისმგებლობით თანამშრომლების უსაფრთხოების საკითხში.

**ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი**

<b>ცოდნა და გაცნობიერება</b>	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს).	უსაფრთხოების სპეციალისტს შესწავლილი აქვს ქიმიური და კვების მრეწველობის საწარმოო პროცესების მიმდინარეობა, წარმოებასთან და ტექნოლოგიურ პროცესებთან დაკავშირებული მავნე და საშიში საწარმოო ფაქტორები, მათი ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე. სახავს რიგ ღონისძიებებს ამ ფაქტორების შესამცირებლად. იკვლევს სავენტილაციო სისტემის ეფექტურობას აღნიშნული საწარმოს პირობებიდან გამომდინარე, ჰაერ-ცვლის ჯერადობას. იცის
------------------------------	--	---

		სავენტილაციო სისტემის მოწესრიგება. ელექტროდანადგარებში დამცავი ჩამიწების, დანულების, კონტროლი. იცის როგორ გაუკეთოს ორგანიზება აღმოჩენილი უწესიერობის აღმოფხვრას. იცის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოუჩენა, იცნობს უსაფრთხო ევაკუაციის წესებს.
<b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b>	შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად..	შეუძლია პროფესიულ უსაფრთხოებაში მიღებული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკულ საქმიანობაში, შეიმუშაოს რიგი ღონისძიებები ნეგატიური ფაქტორების შესამცირებლად, დაგეგმოს გასატარებელი უსაფრთხოების ღონისძიებები.
<b>დასკვნის უნარი</b>	შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.	შეუძლია განსაზღვროს საწარმოო პროცესში წარმოქმნილი საფრთხეები; პრობლემების გადასაჭრელად მონაცემების, პარამეტრების იდენტიფიცირება, ანალიზი; დასაბუთებული დასკვნების გამოტანა.
<b>კომუნიკაციის უნარი</b>	შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.	შეუძლია ერთ-ერთ უცხოურ ენაზე შეადგინოს გარკვეული დოკუმენტაცია, სპეციალისტებს და არასპეციალისტებს მოახსენოს ან წარუდგინოს ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ. იყენებს უახლეს თანამედროვე ტექნოლოგიებს. შეუძლია წამოჭრილი იდეების მიწოდება და გადაცემა სხვებისთვის.
<b>სწავლის უნარი</b>	შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.	შესწევს უნარი საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრისა. ახალი მონაცემთა ბაზის შექმნისა და მისი დამუშავების პროფესიის სფეროში.
<b>ღირებულებები</b>	აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან და უზიარებს სხვებს.	აფასებს პროფესიულ მიდგომებს და დამოკიდებულებებს საქმიანობისადმი. მოქმედებს კეთილსინდისიერებისა და ჰუმანიზმის პრინციპებით. უზიარებს მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას სხვებს. აქვს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა და გაცნობიერებული აქვს პროფესიის აუცილებლობა და საჭიროება წარმოებების მუშაობის პროცესში. სპეციალისტს გაცნობიერებული აქვს ისეთი პროფესიული ღირებულებები, როგორცაა საწარმოში გარემოს უსაფრთხოება, ადამიანის პროფესიული უსაფრთხოება და ჯანმრთელობა: პროფესიული დაავადებებისა და ტრავმებისაგან დაცვა; ოპტიმალური საწარმოო პირობების უზრუნველყოფის აუცილებლობა. იგი პასუხისმგებელია საწარმოში პერსონალისათვის ჯანსაღი, უსაფრთხო სამუშაო პირობების შექმნაზე.

